

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №81
2018 წლის 27 აგვისტო

ქ. გორი

„გორის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის №31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლისა და საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„გორის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის №31 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 25/12/2017, 190020020.35.148.016417) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილებით დამტკიცებული დანართის პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	38,431.8	39,204.0	7,491.6	31,712.4	39,397.5	8,039.6	31,357.9
გადასახადები	6,045.7	7,204.1	0.0	7,204.1	6,700.0	0.0	6,700.0
გრანტები	28,790.9	28,294.8	7,491.6	20,803.2	29,459.3	8,039.6	21,419.7
სხვა შემოსავლები	3,595.1	3,705.2	0.0	3,705.2	3,238.2	0.0	3,238.2
ხარჯები	28,039.5	23,785.8	315.2	23,470.6	24,910.1	329.2	24,580.9
შრომის ანაზღაურება	4,416.2	3,713.3	131.2	3,582.1	3,793.8	111.6	3,682.2
საქონელი და მომსახურება	3,190.6	3,140.6	36.9	3,103.7	3,245.7	46.4	3,199.3
პროცენტი	261.8	170.0	0.0	170.0	386.9	0.0	386.9
სუბსიდიები	14,203.8	13,367.0	112.5	13,254.5	14,156.6	135.0	14,021.6
გრანტები	1,066.4	344.7	2.5	342.2	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	3,146.1	1,475.8	32.2	1,443.6	1,634.0	36.2	1,597.8
სხვა ხარჯები	1,754.5	1,574.5	0.0	1,574.5	1,693.1	0.0	1,693.1
საოპერაციო საღებავი	10,392.4	15,418.2	7,176.4	8,241.8	14,487.4	7,710.4	6,776.9
არაფინანსური აქტივების ცვლილება	10,580.1	14,314.5	7,592.1	6,722.4	20,201.4	9,271.8	10,929.6
ზრდა	11,637.5	15,084.6	7,592.1	7,492.5	20,731.4	9,271.8	11,459.6
კლება	1,057.4	770.1	0.0	770.1	530.0	0.0	530.0



მთლიანი სალდო	-187.7	1,103.7	-415.7	1,519.5	-5,714.0	-1,561.3	-4,152.7
ფინანსური აქტივების ცვლილება	-362.5	945.2	-415.7	1,360.9	-5,861.4	-1,561.3	-4,300.1
ზრდა	574.3	1,360.9	0.0	1,360.9	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	574.3	1,360.9	0.0	1,360.9	0.0	0.0	0.0
კლება	936.8	415.7	415.7	0.0	5,861.4	1,561.3	4,300.1
ვალუტა და დეპოზიტები	936.8	415.7	415.7	0.0	5,861.4	1,561.3	4,300.1
ვალდებულებების ცვლილება	-174.8	-158.5	0.0	-158.5	-147.4	0.0	-147.4
კლება	174.8	158.5	0.0	158.5	147.4	0.0	147.4
საშინაო	174.8	158.5	0.0	158.5	147.4	0.0	147.4
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

“;

ბ) დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	39,489.3	39,974.2	7,491.6	32,482.6	39,927.5	8,039.6	31,887.9
შემოსავლები	38,431.8	39,204.0	7,491.6	31,712.4	39,397.5	8,039.6	31,357.9
არაფინანსური აქტივების კლება	1,057.4	770.1	0.0	770.1	530.0	0.0	530.0
გადასახდელები	39,851.8	39,029.0	7,907.3	31,121.7	45,788.9	9,601.0	36,187.9
ხარჯები	28,039.5	23,785.8	315.2	23,470.6	24,910.1	329.2	24,580.9
არაფინანსური აქტივების ზრდა	11,637.5	15,084.6	7,592.1	7,492.5	20,731.4	9,271.8	11,459.6
ვალდებულებების კლება	174.8	158.5	0.0	158.5	147.4	0.0	147.4
ნაშთის ცვლილება	-362.5	945.2	-415.7	1,360.9	-5,861.4	-1,561.3	-4,300.1

“;

გ) დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 39,397.5 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

დასახელება	2016 წლის	2017 წლის ფაქტი		2018 წლის გეგმა	
		მათ შორის		მათ შორის	



	ფაქტი	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	38,431.8	39,204.0	7,491.6	31,712.4	39,397.5	8,039.6	31,357.9
გადასახადები	6,045.7	7,204.1	0.0	7,204.1	6,700.0	0.0	6,700.0
გრანტები	28,790.9	28,294.8	7,491.6	20,803.2	29,459.3	8,039.6	21,419.7
სხვა შემოსავლები	3,595.1	3,705.2	0.0	3,705.2	3,238.2	0.0	3,238.2

დ) დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 29,459.3 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
გრანტები	28,790.9	28,294.8	29,459.3
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	0.0	94.4	710.9
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერები	28,790.9	28,200.4	28,748.4
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	19,823.4	21,018.8	21,011.8
გათანაბრებითი ტრანსფერი	19,516.6	20,708.8	20,708.8
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	306.8	310.0	303.0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	8,967.5	6,881.6	7,736.6
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხა	6,766.2	6,832.0	7,198.3
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	2,201.3	0.0	0.0
მთავრობის სარეზერვო ფონდიდან	0.0	49.6	0.0
მალაქმთლიანი დასახლების განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	0.0	0.0	538.4

ე) დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 7. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 24,910.1 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	28,039.5	23,785.8	315.2	23,470.6	24,910.1	329.2	24,580.9
შრომის ანაზღაურება	4,416.2	3,713.3	131.2	3,582.1	3,793.8	111.6	3,682.2
საქონელი და მომსახურება	3,190.6	3,140.6	36.9	3,103.7	3,245.7	46.4	3,199.3
პროცენტი	261.8	170.0	0.0	170.0	386.9	0.0	386.9
სუბსიდიები	14,203.8	13,367.0	112.5	13,254.5	14,156.6	135.0	14,021.6



გრანტები	1,066.4	344.7	2.5	342.2	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	3,146.1	1,475.8	32.2	1,443.6	1,634.0	36.2	1,597.8
სხვა ხარჯები	1,754.5	1,574.5	0.0	1,574.5	1,693.1	0.0	1,693.1

ვ) დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 20,201.4 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 20,731.4 ათასი ლარის ოდენობით თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	250.3	188.7	76.0
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	10,765.6	12,788.1	19,715.5
03 00	საგანმანათლებლო ღონისძიებები	426.2	484.6	696.8
04 00	სპორტული და კულტურული ღონისძიებები	195.4	1,584.5	180.1
05 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0.0	0.0	63.0
სულ ჯამი		11,637.5	15,084.6	20,731.4

ბ) განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 530,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

(ათას ლარებში)

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	1,057.4	770.1	530.0
ძირითადი აქტივები	8.5	109.1	190.0
არაწარმოებული აქტივები	1,049.0	661.1	340.0
მიწა	1,049.0	661.1	340.0

ზ) დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 9. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

ფუნქც. კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	6,545.9	5,789.5	6,007.3
	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების			



7011	საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	6,544.9	5,619.5	5,534.2
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	6,544.9	5,619.5	5,434.2
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	0.0	100.0
7013	საერთო დანიშნულების მომსახურება	0.0	0.0	31.2
70131	საერთო საკადრო მომსახურება	0.0	0.0	31.2
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	1.1	170.0	441.9
704	ეკონომიკური საქმიანობა	8,359.1	11,891.8	18,186.2
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	0.0	0.0	50.0
70421	სოფლის მეურნეობა	0.0	0.0	50.0
7045	ტრანსპორტი	4,263.9	7,968.5	12,697.8
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	4,261.0	7,963.1	12,697.8
70455	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	2.8	5.4	0.0
7047	ეკონომიკის სხვა დარგები	0.0	0.0	824.6
70473	ტურიზმი	0.0	0.0	824.6
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში	4,095.2	3,923.3	4,613.9
705	გარემოს დაცვა	2,932.5	296.3	1,456.3
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	128.6	0.0	125.0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	2,803.9	296.3	1,331.3
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	5,519.3	5,929.0	5,426.2
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	284.9	267.7	270.0
7063	წყალმომარაგება	3,775.9	3,871.2	3,346.2
7064	გარე განათება	686.6	1,129.6	1,240.0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	772.0	660.4	570.0
707	ჯანმრთელობის დაცვა	237.4	250.9	278.0
7072	ამბულატორიული მომსახურება	107.4	135.9	143.0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	130.0	115.0	135.0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	7,258.8	7,184.8	5,585.6
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	3,525.8	4,083.3	2,824.8
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	3,205.5	2,636.5	2,504.3
7083	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	29.9	26.9	56.5
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	0.0	120.0	200.0
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	497.7	318.0	0.0
709	განათლება	5,376.8	5,826.5	6,836.8
7091	სკოლამდელი აღზრდა	5,306.9	5,774.9	6,796.8
7092	ზოგადი განათლება	60.9	46.2	40.0
70923	საშუალო ზოგადი განათლება	60.9	46.2	40.0
7096	განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება	9.0	5.4	0.0
710	სოციალური დაცვა	3,447.1	1,701.8	1,865.2
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	1,036.0	878.5	983.2
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	831.1	658.4	724.8
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	204.9	220.2	258.5
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	7.0	7.0	9.0
7103	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	61.4	59.9	31.2
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	204.7	183.9	211.0
7106	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	141.6	130.8	122.5
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	1,996.4	441.6	508.2
	სულ ჯამი	39,677.0	38,870.4	45,641.5



თ) დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 10. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -5,714.0 ათასი ლარის ოდენობით.“;

ი) დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-11 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 11. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება -5,861.4 ათასი ლარის ოდენობით.

2. განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 5,861.4 ათასი ლარის ოდენობით.“;

კ) დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა.ა) გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები (პროგრამული კოდი 02 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება გორის მუნიციპალიტეტის ქუჩების და საავტომობილო გზების რეაბილიტაცია; ვარიანის, მეჯვრისხევის, ახალუბნის, ტყვიავის, მერეთის, ბერბუკის, ტირმნისის, კარალეთის, დიცის, ზედდუღეთის და სხვა ტერიტორიულ ორგანოებში შემავალი სოფლების შიდა გზების მოხრეშვა, მოვლა-პატრონობა; ქალაქის ქუჩების ორმოული შეკეთება; საგზაო ნიშნების, საგზაო მონიშვნების, დამისამართების აბრების და სიჩქარის შემაფერხებელი ბარიერების მოწყობა.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფარგლებში დაგეგმილია გორში სამების, ნინოშვილის, თბილისის, თოიძის, დავითაშვილის, ძმები რომელაშვილების ქუჩების, რკ/გზის დასახლებაში არსებული ქუჩებისა და სანიაღვრე სისტემების, გოგებაშვილის ქუჩის (კახნიაშვილის ქუჩის კვეთიდან 26 მაისის სანაპირომდე) მონაკვეთის, საკათედრო ტაძრის მიმდებარე მოედნის რეაბილიტაცია და საკანალიზაციო ქსელის მოწყობა.

აგრეთვე, სოფელ ქვეშის გზიდან სათემო-ციცაგიანთკარი-ახრისის დამაკავშირებელი გზის, სოფელ მერეთის, სოფელ კომკას და გუგუტიანთკარის საავტომობილო გზების, სოფელ საქაშეთიდან ჩასახლებამდე მისასვლელი გზის ასფალტის საფარის მოწყობა, სოფელ ქვ. ხვითის გზის ასფალტირება (რკინიგზის სადგურიდან სოფლის ცენტრამდე), მეჯვრისხევის შიდასახელმწიფოებრივი გზიდან კვარხეთის ცენტრამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია, სოფელ ხურვალეთში გზის ასფალტირება და სოფელ მეღვრეკისის გზის რეაბილიტაცია.

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის ფარგლებში დაგეგმილია გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ხვითი-ზემო ნიქოზის დამაკავშირებელი გზის ასფალტირება.

„სამოქალაქო ბიუჯეტის“ ფარგლებში განხორციელდება მშვიდობის გამზ. №2 და №2/ა-ს შორის გზის მოპირკეთება და ნადირაძის ქუჩაზე საფეხმავლო სივრცეების მოწყობა.“;

ლ) დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 05 05)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფა,



სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება და სხვა სოციალური ღონისძიებები, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

დ.ა) მხედველობით მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (უსინათლო) და სმენადაქვეითებული (ყრუმუნჯობა) პირთა ერთჯერადი ფულადი დახმარება (პროგრამული კოდი 05 05 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მხედველობის მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (უსინათლო) პირთა ერთჯერადი ფულადი დახმარება 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

0-დან 150 000-ის ჩათვლით სოციალური სარეიტინგო ქულის მქონე მნიშვნელოვნად გამოხატული (უსინათლო) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ერთჯერადი ფულადი დახმარება 200 (ორასი) ლარის ფარგლებში.

0-დან 18 წლამდე სმენადაქვეითებულ (ყრუმუნჯობა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ერთჯერადი ფულადი დახმარება 200 (ორასი) ლარის ფარგლებში.

დ.ბ) ასი და მეტი წლის უზუცესთა დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 05 05 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული 100 (ასი) და მეტი წლის ასაკის უზუცესების ერთჯერადი დახმარება 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

დ.გ) დედ-მამით ობოლი ბავშვებისა და მშობლის (მშობლების) უფლებაშეზღუდული შვილების დახმარება (პროგრამული კოდი 05 05 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია დედ-მამით ობოლი 0-დან 18 წლამდე პაციენტის დახმარება ერთჯერადად სტაციონარული მკურნალობისათვის არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარისა. დედ-მამით ობოლი ბავშვების და მშობლის (მშობლების) უფლებაშეზღუდულ (0-დან 18 წლამდე) შვილებს ფულადი დახმარება გაეწევა ერთჯერადად, ყოველ ბავშვზე 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით.

დ.დ) მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება (პროგრამული კოდი 05 05 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

ერთჯერადად თითო ბავშვზე 100 (ასი) ლარის ოდენობით 0-დან 18 წლამდე გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 0-დან 150 000-ის ჩათვლით სოციალური სარეიტინგო ქულის მქონე 4-შვილიანი ოჯახები.

ერთჯერადად თითო ბავშვზე 200 (ორასი) ლარის ოდენობით 0-დან 18 წლამდე გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 5 და მეტშვილიანი ოჯახები.

დ.ე) დიალიზზე მყოფი და C ჰეპატიტით დაავადებული ადამიანების ერთჯერადი სოციალური და სამედიცინო დახმარება (პროგრამული კოდი 05 05 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია დიალიზზე მყოფი ადამიანების ერთჯერადი ფულადი დახმარება არაუმეტეს 500(ხუთასი) ლარის ოდენობით.

ასევე ვირუსული C ჰეპატიტით დაავადებული ადამიანების, რომელთაც გააჩნიათ სოციალურ სააგენტოდან მინიჭებული 0-დან 150 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა, ერთჯერადი სადიაგნოსტიკო კვლევის თანადაფინანსება არაუმეტეს 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

დ.ვ) (0-დან 18 წლამდე) დაავადებული ბავშვების ცერებრალური დამბლით, დაუნის სინდრომით, არომატული ამინომჟავების მეტაბოლიზმის დარღვევების მქონე, კანის ქრონიკული ჰიდროცეფალიით



და ოჯახური ხმელთაშუაზღვის ცხელებით დაავადებული ბავშვების სამედიცინო სტაციონარული, ამბულატორიული მომსახურების, მათ შორის, კვლევების, სამკურნალო სარეაბილიტაციო ღონისძიებების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 05 05 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

ცერებრალური დამბლით, აუტიზმით, დაუნის სინდრომით, არომატული ამინომჟავების მეტაბოლიზმის დარღვევების მქონე, კანის ქრონიკული, ჰიდროცეფალიით და ოჯახური ხმელთაშუაზღვის ცხელებით დაავადებული ბავშვების სამედიცინო სტაციონარული, ამბულატორიული მომსახურების, მათ შორის კვლევების, სამკურნალო-სარეაბილიტაციო ღონისძიებების თანადაფინანსება განისაზღვროს ერთჯერადად, თანადაფინანსებით, არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

ცერებრალური დამბლით, დაუნის სინდრომით და ფენილკეტონურიით დაავადებული ადამიანების სოციალური დახმარება ერთჯერადად 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

აუტიზმით დაავადებული ბავშვების (0-დან 18 წლამდე) სამედიცინო სტაციონარული, ამბულატორიული მომსახურების, მათ შორის კვლევების, სამკურნალო-სარეაბილიტაციო ღონისძიებების თანადაფინანსება ერთჯერადად არაუმეტეს 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით.

დ.ზ) მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება (პროგრამული კოდი 05 05 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია:

მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მეორე მსოფლიოს ომის მონაწილეთა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა, ავღანეთის ომის მონაწილეთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურება, თითოეულ ბენეფიციარზე 300 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით (მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში);

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურება დამკრძალავი ბიუროდან წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე.

დ.თ) სტუდენტებისა და სპორტსმენების დახმარება (პროგრამული კოდი 05 05 09)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია:

აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის საფასურის თანადაფინანსება 500 ლარის ოდენობით, ერთჯერადად იმ სტუდენტებისა, რომლებიც არ სარგებლობენ სხვა სახელმწიფო პროგრამით და არა აქვთ მოპოვებული სახელმწიფო გრანტი: დედ-მამით ობოლი, მარჩენალდაკარგული და მრავალშვილიანი (4 და მეტი შვილი 18 წლამდე) ოჯახებიდან, სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან, რომელთაც აქვთ მინიჭებული 0-დან 65 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა.

ასევე, ოლიმპიური სახეობის საქართველოს ნაკრების მოქმედ სპორტსმენებს, რომელთაც აქვთ მინიჭებული სოციალური სარეიტინგო ქულა 0-დან 70 000-ის ჩათვლით გაეწიოთ დახმარება არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

დ.ი) სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო დახმარება (პროგრამული კოდი 05 05 10)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ერთჯერადი დახმარება:

სოციალურად დაუცველ მოქალაქეების, რომელთაც ესაჭიროებათ სამედიცინო კვლევა და გააჩნიათ 0-დან 100 000-ის ჩათვლით სოციალური სარეიტინგო ქულა, დაფინანსება განისაზღვროს ერთჯერადად, არაუმეტეს 200 (ორასი) ლარის ოდენობით.

სოციალურად დაუცველი მოქალაქეების, რომელთაც გააჩნია 0-დან 100 000-ის ჩათვლით მინიჭებული სარეიტინგო ქულა, სამედიცინო სტაციონარული მომსახურების თანადაფინანსება გორის მუნიციპალიტეტის მხრიდან განისაზღვროს ერთჯერადად „პაციენტის მხრიდან გადასახდელი



თანხით, არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს, რომელთაც გააჩნია 0-დან 70 000-ის ჩათვლით სოციალური სააგენტოდან მინიჭებული სარეიტინგო ქულა, „C“ ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამასთან დაკავშირებული სამედიცინო კვლევები სახელმწიფოს მხრიდან უფინანსდებათ 70%-ით, გორის მუნიციპალიტეტის მხრიდან თანადაფინანსება განისაზღვროს ერთჯერადად საწყისი ღირებულების 30%-ით, ან მკურნალობის მონიტორინგის კვლევები დაფინანსდეს ერთჯერადად საწყისი ღირებულების 30%-ით.

გორის მუნიციპალიტეტის მხრიდან, იმ მოქალაქეების თანადაფინანსება, რომელთაც „C“ ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამასთან დაკავშირებული სამედიცინო კვლევები სახელმწიფოს მხრიდან უფინანსდებათ 30%-ით, განისაზღვროს ერთჯერადად საწყისი ღირებულების 50%-ით, ან მკურნალობის მონიტორინგის კვლევები დაფინანსდეს ერთჯერადად საწყისი ღირებულების 50%-ით.

დ.კ) ონკოლოგიური (ონკოპათოლოგიური) ავადმყოფების სამედიცინო დახმარება (პროგრამული კოდი 05 05 11)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

ონკოლოგიური ავადმყოფების სამედიცინო კვლევა, რომელიც არ არის გათვალისწინებული სხვა პროგრამით, კვლევის თანადაფინანსება განისაზღვროს ერთჯერადად არაუმეტეს 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

უფასო მედიკამენტებით დახმარება ონკოლოგიურ ავადმყოფებს გაეწევათ ერთჯერადად არაუმეტეს 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

0-დან 150 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე ონკოლოგიური ავადმყოფების სამედიცინო სტაციონარული მომსახურების თანადაფინანსება განისაზღვროს ერთჯერადად არსებული სამედიცინო მომსახურებისათვის პაციენტის მხრიდან გადასახდელი თანხით, არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

დ.ლ) სოციალური პროექტების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 05 05 13)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია:

საბიუჯეტო, არასამთავრობო, არარეგისტრირებული კავშირების, არასამეწარმეო და სხვა ორგანიზაციების თანადაფინანსება, რომლებიც საკუთარი სახსრებით ან დონორი ორგანიზაციებიდან გრანტის მიღების გზით მოახდენენ წილობრივ თანადაფინანსებას და პროექტის განხორციელებით ხელს შეუწყობენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ასევე მუნიციპალიტეტის მონაწილეობა ჯანდაცვისა და სოციალურ სფეროში ჩატარებულ საქველმოქმედო ღონისძიებებში.

დ.მ) უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 05 05 14)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია:

გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ეპილეფსიით და პარკინსონიზმით დაავადებული; 100 000-დან 150 000-მდე სოციალური სარეიტინგო ქულის მქონე თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის მოშლით, შაქრიანი დიაბეტი - ტიპი II (ინსულინდამოუკიდებელი) ფორმით, ბრონქიალური ასთმით დაავადებული ბენეფიციარების დახმარება ერთჯერადად არაუმეტეს 100 (ასი) ლარის ოდენობით, ამ მუხლში აღნიშნული თითოეული დაავადების მკურნალობის ფარგლებში.

დ.ნ) ხანძრებისა (გარდა განზრახ გამოწვეული ხანძრისა) და სტიქიური მოვლენებით საცხოვრებელ ბინებზე მიყენებული ზარალისათვის ოჯახისადმი დახმარება (პროგრამული კოდი 05 05 15)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

სტიქიური მოვლენებით საცხოვრებელ ბინებზე მიყენებული ზარალისათვის ოჯახისადმი დახმარება



არაუმეტეს 1 000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით.

ხანძრების (გარდა განზრახ გამოწვეული ხანძრისა) შედეგად საცხოვრებელ ბინებზე მიყენებული ზარალისათვის დაზარალებული ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება დამდგარი ზიანის მიხედვით, არაუმეტეს 3 000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით.

დ.ო) საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთა (ვეტერანთა) ოჯახების სოციალური დახმარება (პროგრამული კოდი 05 05 16)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეების ერთჯერადი დახმარება 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებით დამატებით ერთჯერადად: საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება 300 (სამასი) ლარის ოდენობით საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით (26 მაისი), მეორე მსოფლიო ომის მონაწილეების დახმარება 300 (სამასი) ლარის ოდენობით ფაშინძის გამარჯვების დღესთან დაკავშირებით (9 მაისი).

დ.პ) რეინტეგრაციაში მყოფი ბავშვების დახმარება თანადაფინანსებით (პროგრამული კოდი 05 05 17)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

ბენეფიციარების ყოველთვიური დახმარება თითოეულ ბავშვზე 80 (ოთხმოცი) ლარის ოდენობით.

დ.ჟ) კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი მარტოხელა პენსიონერების დახმარება (პროგრამული კოდი 05 05 18)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

სიღარიბის ზღვარს მიღმა/ზღვარზე მყოფი (0-დან 70000 ქულის ჩთვლით სარეიტინგო ქულის მქონე) კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი მარტოხელა პენსიონების, არასაპენსიო ასაკის მქონეს მარტოხელა ბენეფიციარები და მარტოხელა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარების დახმარება გადაუდებელი საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით ფულადი დახმარებით არაუმეტეს 100 (ასი) ლარის ოდენობით, გასულ წელს აღებული ვალდებულების ფარგლებში.

დ.რ) მარტოხელა მშობლის დახმარება (პროგრამული კოდი 05 05 19)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი მარტოხელა მშობლის, რომელსაც ჰყავს 0-დან 18 წლამდე შვილი ან შვილები და გააჩნია 0-დან 47 000-მდე სოციალური სარეიტინგო ქულა, დაფინანსება ერთჯერადად 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი მარტოხელა მშობლის, რომელსაც ჰყავს 0-დან 18 წლამდე შვილი ან შვილები და გააჩნია 47000-დან 57 000-მდე სოციალური სარეიტინგო ქულა, დაფინანსება ერთჯერადად 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი მარტოხელა მშობლის, რომელსაც ჰყავს 0-დან 18 წლამდე შვილი ან შვილები და გააჩნია 57000-დან 65 000-მდე სოციალური სარეიტინგო ქულა, დაფინანსება ერთჯერადად 200 (ორასი) ლარის ოდენობით.

დ.ს) სოციალურად დაუცველი, უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი, მიუსაფარი, უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის ქირით უზრუნველყოფის ყოველთვიური ფულადი დახმარება – 05 05 21)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:



გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საცხოვრებელ ფართში, სოციალურად დაუცველი, მიუსაფარი, უსახლკაროდ დარჩენილი ბენეფიციარების ყოველთვიური, თვეში არაუმეტეს 80 (ოთხმოცი) ლარით ქირით უზრუნველყოფა.

დ.ტ) ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეთა გაერთიანებების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 05 05 22)

სოციალურად დაუცველი ოჯახების (0-დან 65000-ის ჩათვლით) თანამონაწილეობის წილის დაფინანსებას, რომლებიც ინფრასტრუქტურულ პროექტში „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეთა გაერთიანებების თანადაფინანსება“ მონაწილეობის მიღებისას გადახდისუუნაროები არიან, სრულად უზრუნველყოფს გორის მუნიციპალიტეტი სამუშაოების მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით.

დ.უ) ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისათვის (ბენეფიციარების) დახმარების გაწევა (პროგრამული კოდი 05 05 23)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ბენეფიციარების ფულადი დახმარება არაუმეტეს 200 (ორასი) ლარის ოდენობით.

დ.ფ) გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანების კაპიტალური ან/და დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 05 05 24)

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი გეგმავს საპილოტე პროგრამის განხორციელებას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი, უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანების კაპიტალური ან/და დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის თაობაზე.

მ) დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-17 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 17. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

განისაზღვროს, გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

ორგ. კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
	გორის მუნიციპალიტეტი	39,851.8	39,029.0	7,907.3	31,121.7	45,788.9	9,601.0	36,187.9
	მომუშავეთა რიცხოვნობა	340	248	11	237	328.0	11.0	317.0
	ხარჯები	28,039.5	23,785.8	315.2	23,470.6	24,910.1	329.2	24,580.9
